საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-823

ქ. თბილისი

04/06/2021

სს „სარინის“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2021 წლის 5 მაისს სამინისტროს განცხადებით მომართა სს „სარინის“ დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

1999 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სს სს „სარინის“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარზე გაიცა №2 (28.01.1999) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2014 წელს კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა.

განცხადების თანახმად, კომპანია აღარ აპირებს დანადგარის ექსპლუატაციას, შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს 1999 წლის №2 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს „სარინის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს „სარინის“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №2; 28.01.1999);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „სარინი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 1 აგვისტოს №ი-458 ბრძანება;
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „სარინს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „სარინის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი